USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

ბიულეტენი

გამოცემა #2
სექტემბერი – იანვარი 2023

მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა

ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრმა მოსამართლეებმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა ქალთა უფლებების მიმართულებით სასამართლოს წინაშე მდგარი გამოწვევები განიხილეს

ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრი მოსამართლეები, სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები, პრაქტიკოსი იურისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ 2022 წლის 10 სექტემბერს, რათა განეხილათ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სარჩელებში ქალთა უფლებების დაცვის ძირითადი გამოწვევები.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, **კელი დეგნანმა,** მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს:

„მოსამართლეებს მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის გასამყარებლად. სწორედ ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) მხარს უჭერს მოსამართლეებს მათთვის საჭირო რესურსებით, ტრენინგებითა და კვლევებით; გვერდში უდგას თქვენს ინიციატივებს, რათა გაუმჯობესდეს კანონების სამართლიანი განხორციელება, რაც მაქსიმალურად გაზრდის ქალთა დაცვას. დღევანდელი შეხვედრა ამ მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითია. უკვე ოცდაათი წელია, რაც აშშ თანამშრომლობს მთელ რიგ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებთან საქართველოში გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად, ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქალების საგანმანათლებლო კუთხით გასაძლიერებლად და მთავრობაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალების რაოდენობის გაზრდის მიზნით ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ჩვენ ნამდვილად გვჯერა, რომ სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ქალების თანასწორუფლებიანობას და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყველა უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად.“

შეხვედრის მთავარი მომხსენებლები იყვნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს **(ქეთევან მამაცაშვილი),** თბილისის სააპელაციო სასამართლოს **(ლეილა მამულაშვილი, შორენა წიქარიძე)** და რუსთავის საქალაქო სასამართლოს **(ნატა თედეშვილი)** მოსამართლეები, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებს. მოსამართლეებმა ხაზი გაუსვეს სასამართლოებში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის ხელშეწყობის მნიშვნელობას

პრაქტიკოს იურისტთა, მოსამართლეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან, სახელმწიფო და იურიდიული მხარდაჭერის ორგანოებიდან შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ: სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, უფლებები საქართველო და კავშირი საფარი. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ძალადობის მსხვერპლთა მონაწილეობით სასამართლო სხდომებისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნის აუცილებლობა, საქმის მონაწილეთა კომპეტენციის გაზრდის მნიშვნელობა და მათი ინფორმირებულობა გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის მნიშვნელობის შესახებ და ამ ფაქტორების გავლენაზე სასამართლო პრაქტიკაში.

კონფერენციაზე ასევე განიხილეს გენდერთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გავლენა სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ - გენდერული სტერეოტიპები და კულტურული დამოკიდებულებები, მაგალითად: როდესაც მხოლოდ მამაკაცებს განიხილავენ მემკვიდრეებად ან მხოლოდ მათ აკუთვნებენ ოჯახში უძრავი ქონების ფლობის უფლებას; და ქალების ფინანსური რესურსების ნაკლებობა, მათ შორის იურიდიული წარმომადგენლობის ანაზღაურების შესაძლებლობა, იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, ტრანსპორტირების ღირებულება სასამართლოში მისვლისთვის.

რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურებისა და საქმეთა განხილვის არსებული მიდგომების გაუმჯობესების შესახებ

2022 წლის სექტემბერში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ექსპერტმა, პროფესორმა, **რადოსლავ პროჩაზკამ** საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტი

დაასრულა, რომლის ფარგლებშიც ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს **მერაბ ტურავას,** მოსამართლეებს და იურისტებს შეხვდა, ასევე ესაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს, **გიორგი ბურჯანაძეს** და სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ეწევიან.

შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტმა მოამზადა რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საქმეთა განხილვის პრაქტიკა საკონსტიტუციო სასამართლოში და რა მიდგომები უნდა იქნას გამოყენებული არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, როგორიცაა საქმეთა გაზრდილი რაოდენობა და განხილვის ხანგრძლივი ვადები, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების კრიტიკას იწვევს.

ექსპერტმა ანგარიში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს პირადად წარუდგინა და ონლაინ შეხვედრის ფარგლებში, მოსამართლეებთან და იურისტებთან ერთად მიმოიხილა თითოეული რეკომენდაცია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მოსამართლე ჯოზეფ ბელიპანიმ დაიწყო მენტორობის პროგრამა თბილისის საქალაქო სასამართლოში

2022 წლის 11 სექტემბერში, ამერიკელმა მოსამართლემ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით - **ჯოზეფ ბელიპანიმ,** დაიწყო გრძელვადიანი მენტორობის მისია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლეებისთვის.

თბილისში, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლე ბელიპანი დააკვირდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებს, გამართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს ქართველ მოსამართლეებთან და გააცნობს ამერიკული იურისპრუდენციის მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს.

მოსამართლე ბელიპანი თხუთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა შტატის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ, გადაწყვეტილებას იღებდა მძიმე სისხლის სამართლისა და რთულ სამოქალაქო საქმეებზე, განიხილავდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის შემთხვევებს, ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნას, ანდერძის განკარგვის საკითხებსა და სამკვიდრო დავებს, განქორწინების საქმეებს, სხვადასხვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს არასრულწლოვანთა მონაწილეობით და საოჯახო დავებს.

მას განხილული აქვს სასამართლო პროცესები, როგორც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ისე მათ გარეშე. მას წარმართული აქვს რთულ საქმეებთან დაკავშირებით ე.წ „Grand Jury"-ის შერჩევის სხდომები. მოსამართლე ბელიპანი ასევე იყო სასამართლოს თავმჯდომარე ათი წლის განმავლობაში, რა დროსაც პასუხისმგებელი იყო სასამართლო მენეჯმენტის ყველა საკითხზე, მათ შორის, პერსონალისა და ფინანსური მენეჯმენტის ყველა საკითხზე.

სტრესისა და დროის მართვის ტრენინგი მოსამართლეებისთვის

2022 წლის 17-18 სექტემბერს თექვსმეტმა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა სტრესისა და დროის მართვის ტრენინგში. მოსამართლეები იყვნენ როგორც რეგიონული, ისე თბილისის სასამართლოებიდან, მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, გორის საქალაქო სასამართლოდან და ახალციხის რაიონული სასამართლოებიდან.

ტრენინგზე განხილული თემები მოიცავდა: სტრესის ფსიქოლოგიას, სტრესის გამომწვევ ფაქტორებს, პროფესიულ გადაწვას, რეაქციას სტრესზე, სტრესის მართვის ტექნიკას, დროს, როგორც რესურსი და დროის ეფექტურ მართვას.

ეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ჩატარებული მესამე ტრენინგი იყო სტრესისა და დროის მართვის შესახებ.

მოსამართლეთა სასწავლო ტური ბავშვის უფლებების შესახებ ვაშინგტონსა და ორეგონში

2022 წლის 19-29 სექტემბერს, ათი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეთა მიერ შემდგარმა დელეგაციამ, აშშ-ში მონაწილეობა მიიღო სასწავლო ტურში, რომელიც ფოკუსირებული იყო ბავშვთა უფლებებზე. მოსამართლეები დაესწრნენ სასამართლო სხდომებს, შეხვდნენ აშშ-ს სასამართლო ექსპერტებს და შეისწავლეს აშშ-ის საოჯახო და არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემების საუკეთესო პრაქტიკა. სასწავლო ტური ჩატარდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში.

ღია კონკურსის შედეგად სასწავლო ტურისთვის შეირჩა რვა სასამართლოს ათი მოსამართლე, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოები;
- და ხაშურის, ახალციხის და ოზურგეთის რაიონული სასამართლოები.

სასწავლო ტურის პირველი გაჩერება იყო ვაშინგტონში, სადაც მონაწილეები დაესწრნენ საოჯახო და არასრულწლოვანთა საქმეთა სასამართლო სხდომებს; შეხვდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეროვნული ქსელისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლებს; განიხილეს ბავშვთა და საოჯახო უფლებების საკითხები აშშ-ს მოსამართლეებთან, ადვოკატებთან და სხვადასხვა დარგში მომუშავე იურისტებთან.

ქართველი მოსამართლეები კოლუმბიის ოლქის უმაღლესი სასამართლოს საოჯახო სასამართლოს მოსამართლე **ჰირამ პუიგ-ლუგოს** შეხვდნენ. მოსამართლე პუიგ-ლუგო არის საოჯახო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე და არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოების მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი. ეს შეხვედრა მოიცავდა აშშ-ს სასამართლო სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების განხილვას და Moultrie სასამართლოში ვიზიტს (Moultrie Courthouse).

ქართველ მოსამართლეთა დელეგაციას ასევე, შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მრჩეველთა ჯგუფს (JJAG-ს).

ისინი გაეცნენ JJAG-ის აქტიური თანამშრომლობის საკითხებს ვაშინგტონის მერთან და ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან. მოსამართლეებმა ინფორმაცია მიიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, თუ როგორ აგროვებს ორგანიზაცია ინფორმაციას იმ ახალგაზრდებისგან, რომელთაც უკვე აქვთ გამოცდილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გაეკვალათ გზა. დამატებით, მოსამართლეები გაეცნენ JJAG-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საგრანტო წინადადებების განხილვისა და კომენტირების პროცესს.

ვაშინგტონიდან სასწავლო ვიზიტის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინში, სადაც გაეცნენ არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებს, შეხვდნენ ორეგონის შტატის მოქალაქეთა მომსახურების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახების მომსახურების ოფისს, არასრულწლოვანთა სასამართლო სამართალწარმოების გუნდს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ და სასამართლო სასწავლო ტურის მონაწილემ, **ირმა ტოგონიძემ** განაცხადა:

„ამერიკის მართლმსაჯულების სისტემა ორიენტირებულია ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები, რომელიც ვისწავლე ამერიკელი კოლეგებისგან ბავშვის, როგორც უშუალო მონაწილე სასამართლო პროცესში ჩართვის შესახებ... მე მოხიბლული ვიყავი მულტიდისციპლინარული მიდგომით, რომელსაც ამერიკული სასამართლო სისტემა ეყრდნობა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ოჯახისგან გამოყოფის პროცესში. აღსანიშნავია სასამართლოში ბავშვის უფლებების დაცვაში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონე. ასევე, ძალიან საინტერესოა დაუყოვნებლივი რეაგირება და კონტროლი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე“.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **თორნიკე კაპანაძემ,** სასწავლო ტურის დროს ისაუბრა მის გამოცდილებაზე:

„აშშ-ში სასწავლო ვიზიტის დროს მივიღე ბევრი საინტერესო ინფორმაცია ამერიკელი კოლეგა მოსამართლეებისგან და განსაკუთრებით გამოვყოფდი აშშ-ს პრაქტიკას არასრულწლოვანთა სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით... საქართველოში ოჯახს განცალკევებული ბავშვის საქმე პერიოდულად განიხილება, მაგრამ ამას ყოველთვის ერთი მოსამართლე არ აკეთებს. ყოველ ჯერზე, როდესაც საქმე ხელახლა შემოდის სასამართლოში, ის შემთხვევით ნაწილდება სხვადასხვა მოსამართლეზე. უმჯობესი იქნება, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს, რომ, როგორც ამერიკაში, ასევე საქართველოშიც ბავშვის მშობლებისგან განცალკავებისა და მინდობით აღზრდაში გადაყვანის, ასევე მისი ოჯახში რეინტეგრაციის საკითხი, განიხილებოდეს ერთი და იგივე მოსამართლის მიერ დროთა განმავლობაში. ასეთი პროცესის შედეგად მოსამართლემ სრულად იცის ბავშვის ისტორია და საქმე. ბავშვიც ეჩვევა მოსამართლეს და აქვს მისი ნდობა, ამიტომ ამცირებს ბავშვის სასამართლოსთან ურთიერთობით გამოწვეულ სტრესს“.

ვებინარი მოსამართლეებისთვის საზოგადოებასთან ეფექტიანი და ეთიკური ჩართულობის სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ

2022 წლის 20 სექტემბერს, მოსამართლეებმა და სასამართლოს მენეჯერმა მიიღეს მონაწილეობა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და სასამართლო ინოვაციების ცენტრის (CCI) მიერ ორგანიზებულ ვებინარში. CCI ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ორგანიზაციაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობს. ვებინარი ფოკუსირებული იყო საზოგადოებასთან ეფექტიანი და ეთიკური ჩართულობის სტრატეგიულ დაგეგმვაზე. ვებინარზე დამსწრე მოსამართლეები წარმოადგენდნენ ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებს.

ლინდსი **პრაის ჯექსონმა,** პროგრამის უფროსმა მენეჯერმა CCI-დან, ისაუბრა სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის გაზრდისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმების შესახებ, რომელიც მოიცავს საჭიროებების შეფასების პროცესს, ადრეული ფაზისა და სამოქმედო პროცესების დაგეგმვას. მან განიხილა პროცედურული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები (ხმა, პატივისცემა, ნეიტრალიტეტი და გაგება) და ხაზი გაუსვა სასამართლო შენობის დაგეგმვის რამდენიმე მაგალითს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სასამართლოს მომხმარებლის გამოცდილება. სასამართლოს ინოვაციების ცენტრის მკვლევარმა, **სრუტი ნარაჰარისეტიმ** ვებინარის მონაწილეებს გააცნო საზოგადოებრივი გამოკითხვის პროცესი, როგორც სასამართლო საზოგადოების საჭიროებების დადგენის საშუალება.

ვებინარის მთავარი მომხსენებელი იყო მოსამართლე, **ალექს კალაბრესი,** Red Hook-ის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრიდან, რომელმაც ისაუბრა საზოგადოების ჩართულობის უპირატესობებზე და იმ სიახლეებზე, რომლებიც მან დანერგა ნიუ-იორკში თავის სასამართლოში. Red Hook-ის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის უნიკალური, საზოგადოებაზე ორიენტირებული მოდელი შესწავლილია მთელ მსოფლიოში და წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ შეუძლიათ სასამართლოებმა იმუშაონ საზოგადოების საჭიროებების ფართო სპექტრის მოსაგვარებლად, მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად, სასამართლოს ქოლგის ქვეშ სასამართლო საზოგადოების ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მთელი რიგი სათემო პარტნიორებისა და დამხმარე სერვისების შემოტანის გზით.

სემინარი საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერული პოზიციის მქონე თანამშრომლებმა, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ გამართულ სემინარში მიიღეს მონაწილეობა. მონაწილეებს შორის იყვნენ სასამართლოს მენეჯერი და სამდივნოს ხელმძღვანელები.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მრჩეველმა საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხებში, **თიმ ბუნიევაცმა** და საზოგადოებრივი ჩართულობის მენეჯერმა, **ოლიკო შერმადინმა** ჩაატარეს სესია სასამართლოს საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის კუთხით არსებული საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ და მონაწილეებს გააცნეს საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კონცეფცია და თეორია.

დოქტორმა ბუნიევაცმა ისაუბრა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე, მათ შორის შესაბამის თეორიულ თუ დიზაინის მიდგომებსა და სასამართლოების საქმიანობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის გაზრდის

სტრატეგიებზე. მისი პრეზენტაცია მოიცავდა ტრადიციულ და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სასამართლოებს შორის განსხვავებების შესწავლას; სასამართლოებში საზოგადოებაზე ორიენტირებული დიზაინის ხუთი ქვაკუთხედის აღწერას; სასამართლოსა და საზოგადოებას შორის სასამართლოს გარეთ ურთიერთობის გაფართოების შესაძლო სფეროებს; სასამართლოს საზოგადოებრივი გამოკითხვის მაგალითებს; სასამართლო-სათემო მრჩეველთა საბჭოების როლსა და ფუნქციებს; და სასამართლოს საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის მხარდასაჭერად გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვის შესაძლებლობებს.

ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრი მოსამართლეების პირველი შეხვედრა გაიმართა

2022 წლის 8-9 ოქტომბერს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეებისგან შემდგარი ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრამ პრაქტიკის ჯგუფის წევრებს საშუალება მისცა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გამოცდილება ბავშვთა უფლებების საქმეებთან დაკავშირებით, გამოეკვეთათ მათ პრაქტიკაში არსებული ძირითადი პრობლემური საკითხები და ემსჯელათ, თუ როგორ შეიძლება ეს საკითხები გადაწყდეს არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში.

შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, **კელი დეგნანმა** მოსამართლეებს მიმართა:

„ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა და შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ბევრი თქვენგანი, ამ მშვენიერ შაბათს ხალისით მოვიდა და ყურადღება დაუთმო ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს. მე, როგორც იურისტი, ნამდვილად დიდ პატივს ვცემ ამ პროფესიას და განსაკუთრებით მოსამართლეებს, იმ უზარმაზარი პასუხისმგებლობის გამო, რომელიც მათ აკისრიათ, როგორც კონსტიტუციის და ჩვენი დემოკრატიული პროცესების მცველებს. ერთადერთი გზა, რითაც ნებისმიერ ერს შეუძლია შეინარჩუნოს დემოკრატია, არის ის, თუ ცალკეულ მოსამართლეებს ექნებათ ყველა ინსტრუმენტი და ცოდნა, რომელიც საჭიროა კანონის უზენაესობის დასაცავად. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სასამართლოს ლეგიტიმურობა დამოკიდებულია კვალიფიციური მოსამართლეების უნარებზე, მიიღონ დასაბუთებული, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.“

ღონისძიებას გაუძღვა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის, სასამართლო რეფორმის მრჩეველი, **ინგა თოდრია.** ასევე პრეზენტაციებს უძღვებოდნენ მოსამართლეები ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან **(მიხეილ ბებიაშვილი),** თბილისის სააპელაციო სასამართლოდან **(შოთა გეწაძე, ნანა დარასელია),** თბილისის საქალაქო სასამართლოდან **(დავით წერეთელი, მანანა მესხიშვილი და თამარ ლაკერბაია)** და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან **(ეკატერინე გასიტაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი და ნინო ბაქაქური).**

სხდომებს მოდერაციას უწევდნენ მოსამართლეები: **დიანა ბერეკაშვილი** (თბილისის სააპელაციო სასამართლო), **ბადრი ნიპარიშვილი** (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო), **ვლადიმერ ხუჭუა** (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო), **თამარ ზამბახიძე** (უზენაესი სასამართლო) და **მანანა მესხიშვილი** (თბილისის საქალაქო სასამართლო).

ხუთ მცირე ჯგუფში მუშაობა დაეხმარა ყველა მოსამართლეს შეეჯერებინათ საერთო პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან სასამართლო დარბაზებში. კერძოდ, მათ გამოკვეთეს ბავშვებისთვის უფრო კვალიფიციური იურიდიული მრჩევლის და სოციალური მომსახურების სააგენტოს მეტი ჩართულობის აუცილებლობა სასამართლო პროცესებში, როგორც ბავშვთა საკითხებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

შეხვედრის ფარგლებში, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე აშშ-ს პრეცედენტული სამართლის შესახებ მიღებული გამოცდილება და ცოდნა გააზიარეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახლახანს დაბრუნებულმა მოსამართლეებმა, ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ **მევლუდ ხათაშვილმა,** მოსამართლე **დავით წერეთელმა** თბილისის საქალაქო სასამართლოდან და მოსამართლე **დიანა ბერეკაშვილმა** თბილისის სააპელაციო სასამართლოდან.

სასამართლო ადმინისტრაციის საერთაშორისო ასოციაციის კონფერენცია - საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება ახალ რეალობაში

17-20 ოქტომბერს, რვაკაციანი ქართული დელეგაცია მონაწილეობდა სასამართლოს ადმინისტრაციის საერთაშორისო ასოციაციის (IACA) კონფერენციაში (ჰელსინკში, ფინეთი), რომლის თემა იყო - საზოგადოებაზე ორიენტირებული სამართლიანობა ახალ რეალობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ბათუმის, ხაშურის და რუსთავის სასამართლოების მენეჯერები, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი **გურო იმნაძე,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მრჩეველი იურიდიული განათლებისა და ადვოკატთა რეფორმის საკითხებში, **ნინო ბალანჩივაძე** და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ექსპერტები საზოგადოების ჩართულობის საკითხებში, **თიმ ბუნიევაცი** და **ოლიკო შერმადინი.**



IACA არის პროფესიონალთა მთავარი გლობალური ასოციაცია, რომელიც ჩართულია მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობაში. მისი ყოველწლიური კონფერენციები შესაძლებლობას აძლევს სასამართლოსა და მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალებს მთელი მსოფლიოდან დაამყარონ კავშირები და ურთიერთობები, ჩაერთონ პროფესიული განვითარების აქტივობებში და სხვაგვარად ხელი შეუწყონ სასამართლოს საქმიანობის სრულყოფას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობასა და ოპტიმალურ საჯარო სერვისებს.

წლევანდელ კონფერენციაზე ქართველი სასამართლო მენეჯერების დასწრება ფასდაუდებელი შესაძლებლობა იყო მთელი მსოფლიოდან სასამართლო ადმინისტრაციის თანამედროვე საკითხებზე იდეებისა და ცოდნის გაცვლისათვის.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა

2022 წლის 5 ნოემბერს, ბავშვის უფლებათა კოდექსზე ფოკუსირებით, მოსამართლეებმა და სააგენტოს წარმომადგენელმა განიხილეს ორი საკითხი: ბავშვის მშობელ(ებ)ისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და ამ გადაწყვეტილებების პერიოდული გადახედვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

შეხვედრაზე პრეზენტაციებით წარდგნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები დავით წერეთელი და ლელა მილდენბერგერი და სააგენტოს წარმომადგენლები თამთა ბაბუნაშვილი და ელენე მარტაშვილი. დისკუსიის მოდერატორი საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ჯინორია გახლდათ.

დისკუსიის დროს, მოსამართლეებმა ახსენეს რომ მათი აზრით შუამდგომლობები ბავშვის განცალკევების მოთხოვნით სასამართლოში უკეთესად დასაბუთებული უნდა შემოდიოდეს, რომ ამ უფლების სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ გამოყენებაზე სასამართლო კონტროლი განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მოსამართლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დეტალურად უნდა გაიწეროს ამ საკითხების განხილვის სამართალწარმოება.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელთა აზრით ბავშვის უფლებების კოდექსი უნდა გამოიყენებოდეს ყველა საქმეზე იმის და მიუხედავად თუ როდის მოხდა ბავშვის განცალკევება მშობლისგან, კოდექსის ამოქმედებამდე თუ კოდექსის ამოქმედების შემდეგ და სასურველია ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სასამართლო პრაქტიკა არსებობდეს.

სასამართლოს თანამშრომლები გადამზადდნენ სასამართლოს მომხმარებლებთან ეფექტიან კომუნიკაციაში

2022 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში თბილისის და გორის საქალაქო სასამართლოებისა და ახალციხის რაიონული სასამართლოს თანამშრომლები შეუერთდნენ პრაქტიკულ ტრენინგს ეფექტიანი მომსახურებისა და კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ჩატარდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით.

ტრენინგი ემსახურებოდა სასამართლოს პერსონალსა და სასამართლოს მომხმარებლებს შორის ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ასევე წარმოადგენს სამართლის უზენაესობის პროგრამის მთავარი მიზნის ნაწილს, რომ საქართველოში სასამართლო სერვისები უფრო საზოგადოებაზე ორიენტირებული გახდეს.

პრაქტიკული მაგალითებისა და რჩევების გამოყენებით მონაწილეებმა განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა: სასამართლოს მომხმარებლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის ბარიერები, აღქმის მიკერძოება, უკუკავშირის დამყარება, აქტიური მოსმენა, არავერბალური კომუნიკაცია, პოზიტიური ფორმულირება და რთული სიტუაციების მართვა. ასევე, ექსპერტმა მონაწილეებს მიაწოდა მომხმარებელთან ურთიერთობის წერილობითი სტანდარტები, რომელიც საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახელმძღვანელო წესებსა და პრინციპებს მოიცავს.

ტრენინგები ბავშთა უფლებების საკითხებზე მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით, ტარდება ტრენინგები ბავშთა უფლებების საკითხებზე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

აღნიშნულ ინიციატივას აქვს ორი მიზანი. პირველი ეს არის ბავშვის მონაწილეობით საქმეთა განხილვის პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება და მეორე მიზანს წარმოადგენს მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის რეკომენდაციების შემუშავება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პრობლემები, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზება პარლამენტისთვის და სასამართლო სისტემაში ერთგვაროვან პრაქტიკაზე შეთანხმება.

სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლე, **თამარ ალანია, თამარ ონიანი** და **დიანა ბერეკაშვილი** ატარებენ რეგიონებში ტრენინგებს და კოლეგებთან ერთად განიხილავენ იმ გამოწვევებს, რასაც ყოველდღიურად აწყდებიან ბავშთა ახალი კოდექსის გამოყენებისას და მსჯელობენ არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ. ჯამში 14 ტრენინგია საქართველოში დაგეგმილი, 7 ტრენინგი მოსამართლეებისთვის და შვიდი სასაამრთლო მოხელეებისათვის. ტრენინგები უკვე ჩატარდა აჭარის, ქართლის, კახეთის, რუსთავის, ბოლნისის და თეთრიწყაროს სასამართლოებისთვის.

ამერიკელმა მოსამართლემ ბათუმის საქალაქოსა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან შეხვედრა გამართა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში მოწვეულმა ამერიკელმა მოსამართლემ **ჯეიმს რედვაინმა** 2022 წლის 17 ნოემბერს გამართა სამუშაო შეხვედრა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან.

მოსამართლე რედვაინი, რომელიც ახორციელებს ექვსთვიან მენტორობის პროგრამას ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ხელმძღვანელობდა დისკუსიას სასამართლოს გადატვირთულობის და საქმეების მართვის ტექნიკასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე, რათა დაეხმაროს თავის ქართველ კოლეგებს ამ სფეროში გამოვლენილი სისტემური პრობლემების გადაჭრაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შუამდგომლობებს პროცესების გადავადების შესახებ, როგორიცაა სასამართლო სხდომების დაგეგმვა ორივე მხარის წარმომადგენლების თანდასწრებით, დაგეგმილი სხდომების ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობა და მხარეების წახალისება, რათა მათ შეძლონ შეთანხმება საქმის მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით მისი განხილვის ადრეულ ეტაპზე.

ქართველი მოსამართლეები მიესალმნენ შესაძლებლობას გასცნობოდნენ სასამართლოში შემოსული საქმეთა განაწილებისა და მართვის ამერიკულ პრაქტიკას და სხვა სასამართლო ტექნიკას, რომლებიც გამოიყენება საქმის განხილვის გაჭიანურების შესამცირებლად. შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა; მონაწილეები შეთანხმდნენ მოვალშიც გამართონ დისკუსია საოჯახო დავებზე წარმოშობილ მსგავს საკითხებზე.

საჯარო დისკუსია საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე

2022 წლის 29 ნოემბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით გამართა საჯარო დისკუსია სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ.

ღონისძიება წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ნაწილს და ხელს უწყობს სასამართლოს საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნას რიგით მოქალაქეებთან და იურიდიულ საზოგადოებასთან. ღონისძიებამ ასევე პრაქტიკული შესაძლებლობა მისცა საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, იურისტებს და აკადემიურ წრეებს, განეხილათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ნაკლებად ფორმალურ გარემოში.

სადისკუსიოდ წარმოდგენილი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორი მუხლის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელსაც საფუძვლად თეთრიწყაროს სასამართლოს წარდგინება დაედო.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და აკადემიური სექტორის წარმომადგენლების მიერ დასმული კითხვები იმ სამართლებრივ შედეგებს და გამოწვევებს, რომლებსაც იურისტები პრაქტიკაში შეხვდებიან ამ გადაწყვეტილების შემდეგ. მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს უახლეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მომავალშიც გაიმართება.

მოსამართლე ქეროლანმა რუსთავისა და გარდაბანის მოსამართლეთათვის მენტორობის პროგრამა დაიწყო

მოსამართლე **რობერტ ქეროლანმა** – ამერიკელმა მოსამართლემ, რომელსაც 34 წლიანი საპროცესო მოსამართლეობის, 9 წლიანი საერთაშორისო და 17 წლიანი პროკურორად მუშაობის გამოცდილება აქვს, რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეებისთვის გრძელვადიანი მენტორობის პროგრამა დაიწყო.

მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლე ქეროლანი, რომელმაც თბილისში დაიდო ბინა, დააკვირდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებს, გამართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს ქართველ მოსამართლეებთან და გააცნობს მოსამართლეებს ამერიკული იურისპრუდენციის თემებს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

მისიის ფარგლებში, მოსამართლე ქეროლანი ასევე მიიღებს მონაწილეობას USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რათა გაიზარდოს თბილისში სამართლის პროფესიონალების კვალიფიკაცია, რის მიღწევაც შესაძლებელია ქალთა უფლებების, ბავშვთა უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების მოსამართლეთა ახლადშექმნილი სამუშაო ჯგუფების გაძლიერებითა და მხარდაჭერით.

მოსამართლე რობერტ ქეროლანი არის მინესოტას პირველი სასამართლო ოლქის ყოფილი მოსამართლე, დაკოტას საგრაფო, მინესოტას შტატი. მან იურიდულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი წარჩინებით მიიღო აიოვას ინივერსიტეტის იურიდიულ კოლეჯში. მას ასევე წარჩინებით მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ვაიონინის წმინდა მარიამის სახელობის კოლეჯში, მინესოტას შტატი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლე ქეროლანი 23 წლის განმავლობდა მოღვაწეობდა საქმის განმხილველ მოსამართლედ მინესოტას შტატის პირველ საოლქო სასამართლოში. შემდეგი 11 წლის განმავლობაში იგი მსახურობდა უფროსი საქმის განმხილველი მოსამართლის თანამდებობაზე. მანამდე იგი 17 წლის განმვლობაში იყო პროკურორი და მუშაობდა პირველი ხარისხის მკვლელობის, ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, პროდუქციის ხარისხის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რთული დავების საქმეებზე. იგი მთავარი პროკურორისა და ადმინისტრატორის რანგში რვა წლის განმავლობაში 40 პროფესიონალისაგან შემდგარ პროკურატურას ხელმძღვანელობდა.

მოსამართლეებმა განიხილეს სასამართლო პრაქტიკა ბავშვისა და მშობლის განცალკევების შესახებ

2022 წლის ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ შეკრიბა ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის მოსამართლე წევრები, USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებულები და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები. 2022 წლის 3 დეკემბერს ქუთაისში, მოსამართლეებმა და სააგენტოს წარმომადგენლებმა განიხილეს სასამართლო პრაქტიკა ბავშვის მშობლებისგან განცალკევების შესახებ და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე ისაუბრეს გადაწყვეტილების პერიოდულ განხილვაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების გადაწყვეტილებებში ახლახან შექმნილი ბავშვის უფლებათა კოდექსის გარკვეული დებულებების ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია არსებობს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ კოდექსის წესები მშობლისა და შვილის დაშორების ვადის გახანგრძლივების შესახებ არ ვრცელდება მშობლისა და შვილის განცალკევების იმ საქმეებზე, რომლებიც გადაწყდა კოდექსის ამოქმედებამდე, მაშინ როცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ კოდექსის წესები ასეთ შემთხვევებზეც უნდა მოქმედებდეს.

შეხვედრაზე მომხსენებლები იყვნენ USAID-ის მიერ განხორციელებული მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებულები, მათ შორის, ოზურგეთის რაიონული სასამართლოდან **თორნიკე კაპანაძე,** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე **ნანა კალანდაძე,** ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ირმა ტოგონიძე** და სააგენტოს წარმომადგენლები **თამთა ბაბუნაშვილი** და **ელენე მარტაშვილი.** დისკუსიას მოდერირებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე **ირმა პერანიძე.**

მოსამართლეებსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებს შორის დისკუსიისას ორივე მხარე შეთანხმდა, რომ კოდექსის საფუძველზე ბავშვის მშობლებისგან განცალკევების შუამდგომლობის სასამართლო განხილვის შესახებ კანონში უნდა იყოს დეტალური საპროცესო რეგულაციები, მათ შორის, დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ზეპირი მოსმენის წესებსა და განცალკევების ხანგრძლივობას.

სტუდენტების კითხვები მოსამართლეებს

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ გამართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელმაც სტუდენტებს საშუალება მისცა შეხვედროდნენ მოსამართლეებს, **ქეთევან მამაცაშვილს** (თბილისის საქალაქო სასამართლო), **ხატია არდაზიშვილს** (თბილისის სააპელაციო სასამართლო) და **ბადრი ნიპარიშვილს** (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო), საქართველოში ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე სასაუბროდ.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მასპინძლობით ჩატარებულმა შეხვედრამ საშუალება მისცა ოთხმოცდაათზე მეტ სტუდენტს, მოესმინათ მოსამართლეებისათვის ისეთ თემებზე, როგორიცაა:

- შემაკავებელი ორდერები, გენდერული სტერეოტიპები და გენდერული მიკერძოება და მათზე რეაგირების უნარი;
- საკუთარი მიკერძოების პერიოდული შემოწმების მნიშვნელობა;
- ქალთა ფინანსური რესურსები და ქონებრივი უფლებები.

დისკუსია ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც სტუდენტებს საშუალება მისცა სიღრმისეულად განეხილათ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები და მათი ფესვები, ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და ოჯახში ძალადობის საკითხები, მათ შორის ეფექტურია თუ არა შემაკავებელი ორდერები ქალთა მიმართ ძალადობისა და მათი პრევენციისთვის.

გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფის წევრმა მოსამართლეებმა და იურიდიული სფეროს წარმომადგენლებმა სასამართლო პრაქტიკა განიხილეს

გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფის მოსამართლე წევრები, სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები, პრაქტიკოსი იურისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ არსებული სასამართლო პრაქტიკა და საქართველოში გამოხატვის თავისუფლების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები.

შეხვედრაზე [10 დეკემბერი, 2022] მთავარი მომხსენებლები იყვნენ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მოსამართლეები, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან **(თამარ ზამბახიძე),** თბილისის საქალაქო სასამართლო **(თამარ ჩიხლაძე),** თბილისის სააპელაციო სასამართლო **(ქეთევან მესხიშვილი),** თბილისის საქალაქო სასამართლო **(თამარ ლაკერბაია).** შეხვედრაზე წარმოდგენილნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო და სამართლებრივი მხარდამჭერი ინსტიტუტები: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA), სახალხო დამცველის ოფისი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), იურიდიული დახმარების სამსახური (LAS), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე **ქეთევან მესხიშვილმა** განაცხადა:

„საკანონმდებლო ცვლილებების გარეშეც კი, კარგი სასამართლო პრაქტიკა შეიძლება შექმნას ცალკეულმა მოსამართლემ შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, სამართლებრივი დასაბუთებითა და ინტერპრეტაციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **თამარ ზამბახიძემ** აღნიშნა:

„ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და ნებისმიერი პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ დავებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, რათა მოხდეს სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სხვა პირთა უფლებებს, საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ამ ყველაფერს ხელს უწყობს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებული გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფის შეხვედრები, სადაც მოსამართლეებს, იურისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება ერთობლივად განიხილონ გამოხატვის თავისუფლების დაცვის პრობლემური საკითხები და სტანდარტები.“

„დღეს ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა სხვადასხვა კუთხით შეგვეხედა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებისთვის. მოსამართლეებისთვის შესაძლოა საინტერესო იყოს იმის მოსმენა, თუ როგორ უყურებს სამოქალაქო საზოგადოება გამოხატვის თავისუფლების კონკრეტულ საკითხს; ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ვაცნობოთ მათ ჩვენი პოზიციის შესახებ და ვიცოდეთ სასამართლოს მოსაზრება ამ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი, პირისპირ შეხვედრები აძლიერებს ჩვენს კავშირებს სასამართლოებთან და შედეგად, უკეთ ვუგებთ ერთმანეთს.“

განაცხადა საიას იურისტმა, **ნონა ქურდოვანიძემ.**

სამუშაო შეხვედრა საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების წარდგინებათა განხილვის პრაქტიკის თაობაზე

17-18 დეკემბერს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ბორჯომში ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, იურისტები და საერთო სასამართლოების მოსამართლეები მონაწილეობდნენ. მათ საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების წარდგინებათა განხილვის არსებული პრაქტიკა და გამოწვევები განიხილეს.

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ცოდნა და ექსპერტიზა. დისკუსიები გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხის გარშემო, მათ შორის:

1. როგორია საერთო სასამართლოების მოსამართლეების სპეციფიური როლი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში;

2. როგორ უნდა განაწილდეს უფლებამოსილება საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამრთლოს მოსამართლეებს შორის, როდესაც საკითხი ეხება კონსტიტუციის განმარტებას, მათ შორის, როდის უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლოების მოსამართლემ კონსტიტუციის ნორმა პირდაპირ, ან განმარტოს კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად და როდის უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით;
3. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვა არის მოსამართლის უფლებამოსილება თუ ვალდებულება, როდესაც კანონის ნორმას აქვს კონსტიტუციასთან შესაბამისობის აშკარა პრობლემა; და
4. შეუძლია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს განმცხადებელს მოსთხოვოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციის ამოწურვა, ვიდრე ნორმის კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოში იქნება გასაჩივრებული.

შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, **თეიმურაზ ტუღუშმა** სპეციალური სესიის ფარგლებში პრაქტიკული რჩევებიც გაუზიარა, თუ როდის და როგორ უნდა მიმართოს მოსამართლემ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი წარდგინებით.

სემინარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლებისთვის საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა და სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის შესახებ

ბათუმში სამართლის უზენაესობის ჰაბის შექმნის შემდეგ, აჭარის რეგიონში სასამართლოების შესაძლებლობების გაძლიერება არის USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

2023 წლის 21 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 22-მა თანამშრომელმა, მათ შორის სამმა მოსამართლემ, მიიღო მონაწილეობა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის სემინარში, რომელიც საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების (PCJ) და სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობას ეხებოდა.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მრჩეველმა საზოგადოების ჩართულობის საკითხებში, **თიმ ბუნიევაცმა** და პროგრამის საზოგადოებრივი ჩართულობის კოორდინატორმა, **მარიამ გობრონიძემ** გამართეს სესია სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის პრაქტიკის შესახებ მთელი მსოფლიოდან და მონაწილეებს გააცნეს PCJ-ის ცნებები და თეორია.

ამერიკელმა მოსამართლემ, **ჯეიმს რედვაინმა** ასევე ისაუბრა მოსამართლის პოზიციაზე ყოფნის დროს მისი გამოცდილების შესახებ PCJ-ის ინიციატივებთან

და სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის პრაქტიკასთან დაკავშირებით. მონაწილეებმა გაიგეს მეტი ამერიკის სასამართლოს წარმატებული პრაქტიკის/საშუალებების შესახებ, რომლებიც შექმნილია სასამართლოების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით.

ბუნიევაცმა ისაუბრა PCJ-ის კონცეფციაზე, მათ შორის შესაბამის თეორიასა და მიდგომებზე, და მიმოიხილა სასამართლოების ჩართულობის გაზრდის სტრატეგიები სასამართლოს სხვადასხვა თემთან. მან ასევე განიხილა:

- ტრადიციულ და პრობლემის გადამჭრელ სასამართლოებს შორის განსხვავებები;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული დიზაინის ხუთი ქვაკუთხედი სასამართლოებში;
- სასამართლოს გარეთ სასამართლო-საზოგადოების ჩართულობის გაფართოების შესაძლო სფეროები;
- სასამართლოს-თემის გამოკითხვის მაგალითები;
- სასამართლო-სათემო მრჩეველთა საბჭოების როლები და ფუნქციები;
- და გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობები სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის მხარდასაჭერად.

„სემინარმა დამანახა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მნიშვნელობა. საზოგადოების სამართლებრივ საჭიროებებზე მეტად ორიენტირება სასამართლოსათვის წარმატებული გზაა საზოგადოების ნდობისა და რწმენის მოსაპოვებლად. უფრო მეტიც, სემინარი დაგვეხმარა იმის გაგებაში, რომ სულ მცირე რესურსითაც კი შესაძლებელია შეცვალო არსებული რეალობა და გახადო სასამართლო უფრო საზოგადოებაზე ორიენტირებული და მომხმარებლისთვის სანდო“.

ირმა ტოგონიძე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, პროგრამის გუნდისაგან მიიღონ დახმარება სემინარზე მომზადებული პროექტის საფუძველზე სასამართლო-საზოგადოების ჩართულობის საკუთარი გეგმის შემუშავებაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ პროგრამას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაადასტურა.

ამერიკელმა მოსამართლემ **ჯეიმს რედვაინმა** ქართველ კოლეგებთან ერთად საოჯახო დავებთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები განიხილა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეულმა ამერიკელმა მოსამართლემ, **ჯეიმს რედვაინმა** ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან და თანამშრომლებთან საოჯახო დავებთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გამართა. ამერიკელმა მოსამართლემ ქართველ კოლეგებს თავისი გამოცდილება იმ მექანიზმების შესახებ გაუზიარა, რომლებიც მან საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ სასამართლო დავებში დანერგა.

მონაწილეები გაეცნენ სასამართლოს მისიის განაცხადის ცნებას და მიზანს, აგრეთვე წინასასამართლო სხდომის წინა ეტაპის განკარგულების (pre-pre-trial order), წინასასამართლო სხდომის განკარგულების (pre-trial order), არსებითი განხილვის განკარგულების (trial order) და საქმის განხილვის განრიგის შესახებ მიღებული განკარგულების (scheduling order) ნიმუშებს, რომლებიც შეიცავს პროცედურებს როგორც საოჯახო, ისე არა-საოჯახო დავებისთვის. სამუშაო შეხვედრის დროს შესრულდა ჯგუფური სამუშაო, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მისიის განაცხადის იდენტიფიცირებას და პროექტის შემუშავებას მოიცავდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ჯუმბერ ბეჟანიძემ** აღნიშნა, რომ შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო „განსაკუთრებით, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით“.

ამერიკელმა მოსამართლემ ასევე ისაუბრა მედიაციის მნიშვნელობაზე და განიხილა სასამართლოში მედიაციის განხორციელების გზებზე, როგორც მოსამართლის, ისე გარე მედიატორების მიერ. სამუშაო სესია დასრულდა როლური თამაშით, სადაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა და თანამშრომლებმა თავად გამოცადეს და დააკვირდნენ მედიაციის პროცესს, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავაში.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამაში მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ:

გიორგი ჩხეიძე	პროგრამის ხელმძღვანელი
ნილ ვაინსტაინი	პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
ინგა თოდრია	მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი
ეკა ონიანი	მართლმსაჯულების რეფორმის სპეციალისტი
თიმ ბუნიევაცი	საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველი
მარიამ გობრონიძე	საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კოორდინატორი
მამუკა მამაცაშვილი	მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი
ნინო ბალანჩივაძე	იურიდიული განათლების და ადვოკატთა რეფორმის მრჩეველი
მარიამ ვარდოსანიძე	იურიდიული განათლებისა და ადვოკატთა რეფორმის სპეციალისტი
ირინა ხახუტაიშვილი	რეგიონული ჰაბის იურისტი, ბათუმი
ანა შალამბერიძე	რეგიონული ჰაბის იურისტი, ქუთაისი
მერი მახარაშვილი	კომუნიკაციების სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

5 მარჯანიშვილის ქ., 0102
თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 250 54 04

ელ-ფოსტა: info.rolp@ewmi.org

ვებ-გვერდი: ewmi-ruleoflawgeo.org

ჩვენი სოციალური გვერდები: